ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 430

"27" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ. თბილისში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №81.03.12.065) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გემის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 27 ოქტომბრის №53 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 დეკემბრის №04/20617 წერილის (AR1401610) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №81.03.12.065) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გემის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1401610 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი



1	2
3	4
5	6

1. ზონის სახელი
2. სართულიანობა
3. კ1
4. კ2*
5. კ3
6. სანებართვო ტიპი

* - სანებართვო შეთანხმებაში კოეფ ნაცვლად მითითებული სიმაღლე მ-ში

ხატვითი გეგმა

1) ზღვისპირა პრომენადი
2) ბრიტანეთის ხიდი
3) ბრეზილიის რეზიდენცია



ტერიტორიის ბალანსი

- ბიჭვინთის ეროვნული პარკის ნაკრძალი და ტერიტორია
- ზღვისპირა ტერიტორიის ინტენსიური ათვისების ზონა
- ეროვნული პარკის ბუნებრივი ландშაფტი
- ნაპირგაძლიერებული ტერიტორიის ბალანსი სასაზღვრო ზონა
- ბიჭვინთის ნაკრძალის ნაკუთვნები სასაზღვრო ზონა

საკვლევი ტერიტორია

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
- Luxury ტიპის ვილა
- დაწესებულება, საერო ტიპის ტაძარი, კვლევა
- Fitness ტიპის
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი